

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მედიკინის სახლში, № 43
კანტორა რედაქციისა: მედიკინის სახლში, ბანკის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ редакціи газ. „Дროзба“.

გაზეთის ფასი: მთელი წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

სოფელ დღე ორშაბათს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებულს: ერთი ასოზე—1 კაპ., კანტორის სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცირკოთი—5 კაპ., პატრა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროშა

ცალკე ნომერი ღირს შაურათი

ორი თვის ხელის-მოწერა

„დროშაზე“

1 ნომერი და

ამ 1877 დასაწყისამდე

მიიღება თფილისში, „დროშის“ რედაქციაში (ბანკის ქუჩაზე, სტ. მედიკინის სახლში). სხვა ქალაქებში „დროშის“ აგენტებთან.

ფასი ორი თვის გაზეთისა—2 მან.

ძალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи. ВЪ редакціи газеты „Дროзба“.

ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

ვენა, 28 ოქტომბერს. („ზოლოსის“ დეპეშა). შექმედ-ალი-ფაშა ენერგიულად ამზადებს ჯარებს სოფიასთან პლენოს მისაშველებლად.

აშპობენ, მსამან - ფაშას განზრახვა აქვს, რომ რუს-რუმინების ჯარები გააპოს და ჩახოვოს მხრით გამოვიდეს თავის ჯარებით პლენოდამაო.

ბუშინ ტურტუკაისთან მსამალოს ჯარები ოთხს დიდს ხომალდში ჩასხდნენ და მლთენიტთან ღუნაის მარცხენა ნაპირზე გამოსვლა უნდოდათ რუმინიაში. მაგრამ ჩვენმა ჯარებმა თოფისა და ზარბაზნის სროლით უკან დააბრუნეს ისინი.

სტამბოლიდან მოვიდა ამბავი, რომ გუშინ იქ ხმა გავარდნილა, ვითომც რუსებმა არზრუმში აიღესო და ამის გამო ზოგიერთებს იმედი დაებადათო, რომ ახლა მაინც ინგლისი უეჭველად მიიღებს ამ ომში მონაწილეობასაო.

პარიში, 28 ოქტომბერს. რესპუბლიკის პრეზიდენტმა მარშალ მაკ-მაჰონმა გამოაცხადა გუშინ მინისტრთა რჩევაში თავის მტკიცე გადაწყვეტილება, რომ არამც-და-არამც არ მიატოვებს თანამდებობას და ამასთანავე სთხოვა მინისტრებს რომ, სანამ ახალი სამინისტრო არ შეუდგენია, სამსახურიდან ნუ გამოვლენ. მინისტრებმა აღუთქვეს, რომ, სანამ თვითონ მარშალი საჭიროთ არ დაინახავს იმათ გადაყენებას არ მიატოვებენ იმასა.

ომის აგებები

აზიის ბრძოლის ველიდან

ბუშინდელს „დროშაში“ დაბეჭდილმა ოფიციალურმა დეპეშამ გვაცნობა,

რომ ღვეე-ბოინთან დამარცხებულს მსამალოს ჯარს არზრუმისაკენ დაუწვია. ღენ. ბეიმანისა და ტურ-ღუკასოვის ატრიადი ვერ გამოსდევნებია დამარცხებულ მტერს, რადგან თოვლი და წვიმა ყოფილა და ამის გამო რუსის ჯარს ღვეე-ბოინში გაუთვია ღამე.

მა ბრძოლა ამ თვის 23-ს მოხდა. მას აქეთ აგერ ერთი კვირა გადის, და რაღა თქმა უნდა, რომ ერთი კვირის განმავლობაში რუსის ჯარები უსაქმოდ არ გაჩერდებოდნენ ღვეე-ბოინზე; ისინი არზრუმს უნდა მიდგომოდნენ, რადგან ამ შემთხვევაში სისწრაფით მოიგება საქმე.

მასასადამე ახლა ჩვენ არზრუმიდან უნდა მოველოდეთ ახალ ამბებს. ღა ეს ახალი ამბები, უეჭველია, მანუგეშებელი იქნება რუსებისათვის, თუ ამ დრომდინ არზრუმს არ მოაშველეს ახალი ჯარები, რომელნიც, როგორც უცხო ქვეყნის გახეთქებში იწერებოდნენ, დიდი ხანია გამოსულან სტამბოლიდან, ბათუმიდან და მცირე აზიის სხვა ალაგებიდან.

ბაზეთს „ბავკაში“ დაბეჭდილი დეპეშა გვაცნობებს, რომ ამ ღვინობისთვის 26-ს რუსებს უფრო გაუზშირებიათ ზარბაზნის სროლა შარსისაკენ, და შარსის ჯარებიც ყველა ჭორტებიდან (ციხეებიდან) გვესროდნენ ჩვენ ზარბაზნებსაო.

ამავე კორრესპონდენტის სიტყვით, შარსიდან მსამალოს ჯარია გამოსულა, თავს-დასცემია ჩვენებს; მაგრამ უკუ-უქცევიათ.

შრანცუხულოს გაზეთს „Le Temps“-ში დაბეჭდილია სტამბოლიდან 21 ოქტომბერს მიღებული შემდეგი დეპეშა:

„ახალი ჯარები, რომელიც აქედამ (სტამბოლიდან) გაგზავნა მთავრობამ მუხთარ-ფაშის მისაშველებლად, ამ ქამად ბალაშურტში არის (ბრაპიზონსა და არზრუმს შუა) და საჩქაროთ მიეშურებიან არზრუმისაკენ.

„მთელი გზა ბაიაზეთიდან არზრუმამდინ რუსების ხელშია.“

სტამბოლში გამოცხადებული იყო

ოფიციალური დეპეშა, რომელიც მსამალოს სამხედრო სამინისტროს 15 ღვინობისთვის მიეღო ბათუმის ჯარის სარდლის ღერიშ-ფაშისაგან და რომელშიაც ეს ფაშა იწერებოდა, რომ იმას დიდი ხანია არავეითარი შეტაკება არ ჰქონია რუსის ჯართან; მხოლოდ რამდენიმეჯერ ტელეგრაფი გაუფუჭეთ მტერს და საქონელი მოეტაცეთო.

„მოსკოვის უწყებების“ უკანასკნელს ნომერში შემდეგ ცნობებს იწერებიან აჯანყებულ ჩიჩნების მოთავეზე ალიბეკზე:

„ალიბეკი, რომელსაც მთელი ჩიჩნის აჯანყებას აბრალებენ და რომელიც ახლაც გავარდნილია თავის მომხრეებით, როგორც ამბობენ, ამ ომიანობის წინათ შაბას ყოფილა სალოცავათ და იქიდან რო დაბრუნებულა სტამბოლში შეუვლია; აქ, სტამბოლში, უნახავს იმას სხვათა შორის შამილის შვილი—შაზი-მაჰომა შამილი, რომელთანაც ერთად ღლანი შეუდგენიათ—თუ როგორა აჯანყონ ჩიჩნები, ღაღესტანა და საზოგადოთ მთელი ბავკასიის მთიულები.—აქედამ ჩვენ მოვადგებით რუსებს მსამალოს ჯარითაო, იქიდან თქვენ დაგვეხმარებით, დავმარცხებთ და ამნაირად განთავისუფლებით რუსეთის დამოკიდებულებისაგან.

„ღაბრუნებისა-თანავე შეუდგა თავის საქმეს ალიბეკი. მაგრამ როგორც შეასრულა თავის განზრახვა—ეს თქვენც იცით.“

ვეროსის ბრძოლის ველიდან

ნემეცური გაზეთი „Tagblatt“ გვარწმუნებს, რომ აიღებენ რუსები პლენოს თუ არა, იმ წამსვე მორიგებაზე ღაპარაკი ჩამოვარდებაო. ამ საგნის შესახებ თ. ბისმარკი და თ. ბორჩაკოვი დიდი ხანია დათანხმდნენ ერთმანეთშიო. მაგრამ მეორეს მხრით სხვა გაზეთებში იწერებიან, რომ ბერმანია არამც-და-არამც არ იკისრებს მებრძოლთ მოსარიგებლად შეუამდგომლობის კისერასაო.

ლონდონის გაზეთის „Daily News“-ის კორრესპონდენტი შემდეგ მოსაზრებას იწერება ამ გაზეთში პლენოს აღების თაობაზედ:

„როგორც მოგვხსენებთ, პლენო ამჟამად სრულიად გარემორტყმულია რუსებისა და რუმინების ჯარისაგან. ახლა ყველაფერი ორს გარემოებაზედ არის დამოკიდებული: ზამთარზედ და იმაზე— ბევრი აქვს სურსათი მსამან-ფაშას თავის ჯარისათვის, თუ არა. თუ მსამან-ფაშას სურსათი შემოაკლდა, უეჭველია, ის იძულებული შეიქნება, რომ პლენო მტერს დაუთმოს და თვითონ კი წავიდეს აქედამ. თუ საქმელ-სასმელი ბლომათა აქვს ჯარისათვის, მაშინ ზამთარზედ ჰქონდა: ხმელს, თოვლიანს ზამთარს მოითმენენ რუსის ჯარები და გაზაფხულამდინ პლენოვად ფეხს არ მოიცილიან; და ნოტიო, წვიმიან ზამთარს კი ვერ გაუძლებენ და იძულებული შეიქნებიან, რომ პლენო მიატოვონ.“

ზემოსხენებულისავე გაზეთის სიტყვით: „მას აქეთ, რაც ღენ. ტოტლებენი მოვიდა რუსის არმიასი, პლენოს აღების პლანი სრულებით შეიცვალა: აღრე იერიშით, ძალით უნდოდათ ამ საშინლად გამაგრებულის ქალაქის აღება და მსამან-ფაშას ჯარის დამარცხება; მაგრამ რამდენიმე მაგალითმა, რომელიც რუსებსა და რუმინებს უკანასკნელ 30,000 კაცად დაუჯდათ, დაარწმუნა ესენი, რომ იერიშით პლენოს აღება ერთობ ძვირად დაუჯდებათ.“

„ამის გამო ღენ. ტოტლებენის პლანი მიიღეს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მთელ ქალაქს შემოავლოს სიმაგრეები, თან-და-თან მიუახლოვდეს და თან ისეთ ნაირად შემოახვიოს ჯარები, რომ გარედამ არც ჯარების მოშველება შეიძლოს ოსმალებმა, არც სურსათისა და არც საომარ მასალებისა.“

მენის „Politische Correspondenz“ გეცნობებს, რომ შევექეთ-ფაშა 19 ლეინობისთვის მსამან-ფაშად მოადგა რუსებისაგან ახლად აღებულს ტელეშს, და განზრახვა ჰქონდა, რომ ეს სიმაგრე წაერთვა რუსებისთვის და ამ ნაირად პლენოში შესასვლელი გზა ისევ გაეხსნა; მაგრამ რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ, შევექეთ-ფაშა დამარცხებული იქნა და იძულებულია, რომ უკანვე დაეწია.

ამავე გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი, რომლის თაობაზედაც თვითონ რედაქცია ამბობს, ბეჯითად არ შეგვიძლიან ვსთქვათ, ნამდვილია ეს ამბავი თუ არაო:

„ამბობენ, რომ რუსები 70,000 კაცს ამდებენ იმ განზრახვით, რომ მსწრაფლად გადაიყვანონ ეს ჯარები ბალკანის მთებზე, მიაღწენ ადრიანოპოლს და ამნაირად ამ ზამთრამდინ გაააფონ ეს რაიონი. ამბობენ, პლენოსა და რუსიუკის აღებას არ მოუტყდიან რუსები, პირდაპირ გააქნებენ ამ ჯარს ადრიანოპოლისაკენაო.“

სტამბოლის ოფიციალურს გაზეთებში იწერებიან, რომ მთავრობა ახლს ჯარს ამზადებს, სულ 226,700 კაცს, რომელიც ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში მეროპისა და აზიის ბრძოლის ველისაკენ იქნება გაგზავნილიო.

სამართველო

ჩვენი „შაურიანი“ ლიტერატურა

ამ ორი-სამი წლის წინათ, ერთს პატარა წრეში გამოთქმული იყო ის ჰაზრი, რომ ჩვენს ღარიბსა და წიგნის კითხვის ჯერ კიდევ შეუჩვეველს ხალხში პირველი ადგილი ისეთს წიგნებსა და საზოგადოთ გამოცემათ უნდა ეჭიროსთო, რომელნიც იათად ფასობდნო. „შაურიანი ლიტერატურა“ არის ახლა ჩვენი მხსნელიო, — ამბობდნენ ამ წრეში.

ჰაზრი, თუ გნებავთ, კარგი და გონიერი იყო. მაგრამ უბედურება ეს არის, რომ, როგორც ხშირად მოხდება ხოლმე ჩვენში, ახლაც ისე მოხდა: ჰაზრი გამოთქვა და საქმით აღსრულებას კი ის წრე არ შეუღდა.

მაგიერად, სხვა პირები გამოჩნდნენ, რომელთაც ამ ჰაზრით ისარგებლეს.

და ამ ომიანობამაც ხელი მოუწყო ამ საქმეს, ამ „შაურიანი ლიტერატურის“ გაძლიერებასა და აღყვავებას.

ხედავენ, რომ ამისთანა იათი პატარა წიგნები კარგათ ისყიდება ხალხში; ხედავენ, რომ ეს საქმე ცოტა არ იყოს სასარგებლო საქმეა... იმათ ჯიბისათვის, — და ამოჩნდნენ ისეთი პირნი, რომელთაც თავის ღღეში არა უწყაელიათ, არა უკითხავ, არა უწერიათ-რა, გარდა მოკითხვის წიგნებისა, ისეთი პირნი, რომელთაც ჩვენი ხალხის გონების გახსნა ანუ გარყვნა შარშანდელ თოვლად მიანჩნათ, — და ამ პირებმა დაიწყეს სხვა-და-სხვა „მისი სიმღერების“ „ბეჭუთოვის ლექსების“ „ჩოლაყაშვილის ლექსის“, „ჭერივის ლექსის“ და სხვა ამგვარქმნილებათა წერა, გამოცემა და შაურად გაყიდვა.

შველა ეს ბროშურები, ეს ლექსები, ეს „შაურიანი“ წიგნები რომ ერთად მოვაგროვოთ, ყველაში ერთად ერთი მისხალი ჰქუა, გრძნობა, პოეზია და ჰაზრი არ მოიპოება. ცარიელი უზრო სიტყვების უზრო და უხეირო რახარუხია.

მაგრამ ხალხი ჰყიდულობს. — რას იზამ! მისი ახლა მოდაა! შველას ჰგონია, ერთს რასმე შეეიტყობ ამ წიგნებიდამ ონზედაო, ჩვენებურების მამაცობაზედა და თავ-განწირულებაზედაო! იათიც არის! შაურის მიცემა არ ეძნელებათ, — და ჰყიდულობენ.

მს გარემოება, სხვათა შორის, იმას გვიმტკიცებს, რომ ხალხი უბრალო, მდაბიო ხალხი გონების განვითარებას უბრალოდ, რომ ამ ხალხს კითხვა სწყურია.

ნუ შეუღებთ იმის გამოძიებას—თუ ვინ ანუ რამ აღძრა ჩვენს ხალხში ეს გონების საზრდოს საჭიროება.

ჩვენი განათლებულებისთვის, ხალხის გულ-შემატვივარ პირებისათვის, იმ პირებისათვის, რომელთაც ხალხის წინამძღოლთ და გზის მაჩვენებელთ ეძახიან, პირველ მოვალეობას შეადგენს ახლა ის, რომ ეს ჩინებული და სასიამოვნო მოთხოვნილება ხალხისა უფრო გონიერად, უფრო რიგიანათ დაკმაყოფილონ, ვინემ ღღემდინ ის ზემოსხენებული წიგნების გამოცემელნი აკმაყოფილებენ.

მს იათი ლიტერატურა ძლიერი იარაღია. საუბედუროთ, ეს იარაღი სხვა-და-სხვა ისეთის პირების ხელში ჩავარდნილა, რომელთაც წიგნის გამოცემა ღუქნის გაღებაზე უფრო სასარგებლო საქმედ დაუნახესთ.

ჩვენ ვაღდებულნი ვართ—ეს ძლიერი იარაღი ამ გვარ ხალხს გამოვაცალოთ ხელიდამ და უფრო სინიდიისიანათ, უფრო გონიერად მოვიხმაროთ...

ს. მ.

ღლიური

* * ჩვენ მივიღეთ გუშინ ქალაქის ბამგეობისაგან 10 ფილისის შემოსავალ-ზასავლის ანგარიშის პროექტი“ მომავლის 1878 წლისა. ამჟამად მოგვეყვს ამ „ანგარიშიდამ“ მხოლოდ შემდეგი ციფრები:

1878 წელს ქალაქის ხაზინა შემდეგ შემოსავალს მოელის:

ქალაქის ქონებისა და სხვა-და-სხვა ხარჯ-დადებულო საგნებისაგან — 69,664 მანეთს; სახლების დესაფასებელი ხარჯისაგან—162,691 მან.; საეპრო და საწარმოო ზვედენიებისაგან—49,000 მან.; ნოტარიუსების, საზომავებისა და საწყაობების ბეჭვდის დაკვრისაგან და აგრეთვე აუქციონით გაყიდვისაგან—9,712; ხაზინისა და ერობისაგან შეწეწა—120,000 და სხვა-და-სხვა შემოსავალი — 39,522 მან.

სულ შემოსავალი — 440,589 მანეთს.

ზასავალი ექნება შემდეგი: ქალაქის ბამგეობისათვის—74,140 მან.; ქალაქის პოლიციის, საეპრო ნაწილისა და საწყობილესი—97,720; ქალაქის ქონების შენახვისა და ქალაქის კეთილგანწყობილებისათვის — 20,325; სამხედრო უწყებისათვის კვარტირის ფული—

137,295; სხვა-და-სხვა უწყებათა შესაწევნელად—6,642; ვალების გადასახდელად—11,248 და სხვა-და-სხვა გასაყალი—8,745 მან.

ს უ ლ გასაყალი—426,185 მან.

მაშა სადამე ძალაქს იმედი აქვს, რომ მომავალს 1878 წელს ყოველ ხარჯს გარდა, 14,404 მან. წმინდა შემოსავალი დარჩება.

* * ხეალ ორშაბათს, ჩვენი ძალაქის რჩევაში, სხვათა შორის, შემდეგს საინტერესო საგნებზე იქნება მოლაპარაკება:

ა). მოხსენება ხმოვანის მ. ი. სურგუნოვისა იმის შესახებ, რომ ზოგიერთი ქუჩები ვაზით გაინათოს და ამ საგნის თაობაზე პროექტი.

ბ). მოხსენება ბამბეგობისა ასახების თაობაზე.

გ). მოხსენება ხმოვანის არ. ს. წურინოვისა შუა-ბაზრის გაფართოების შესახებ.

დ). იმისივე მოხსენება ძალაქის ქუჩების ცუდად განათების შესახებ.

ე). მოხსენება ხმოვანის ს. პ. ალადათოვისა ქალაქში სიძვირებზე და ამ სიძვირის მოსპობაზე.

ვ). მოხსენება იმისივე იმ საწონებისა და საწყობების გაშინჯვაზე, რომელსაც ქალაქის ვაჭრები ხმარობენ.

* * ბუშინწინ, სალამოს მერვე საათზე, მანოვის ქუჩაზე უეცრად ერთი რაღაც ხმაურობა და ყვირილი ატყდა. როგორც აღმოჩნდა, ეს ხმაურობა იმის გამო ატყდა, რომ ამ აუგილას ვიღაც ავაზაკი შევარდნოდა ერთს ბაყალს დახლისათვის დაეტანებინა ხელი, პატრონს არ მიეცა, და ღანით დაეჭრა.

ძარგათ გაიგეთ, რომ ეს მოხდა ოფიცისში, ისეთს ქუჩაზე, საცა მუდამ ხალხი მიდის-მოდის და სალამოს მერვე საათზე...

* * ჩვენ მივიღეთ ძახეთიდან შემდეგი შენიშვნა:

„წლევანდელი შემოდგომა აღრინდელ შემოდგომას აღარა ვაყვებით. ადრე ამ დროს რომ ხალხს გახურებული ქეიფები ჰქონდათ, მაჭრებში ჭყუმპალაობით თავ-ბრუ ეხვეოდით, წელს, თითქო ყველა მგლოვიარეები არიანო, თავ-თავიანთ სახლებში სხედან და „უჩუმრათ“ შესტყვიან ბუნების მოვლენას, გათენებას და დაღამებას. არც საკვირველია. წელს ღვინო, ძალიან ძვირია. მისაც რა მოუყვია, მსწრაფლ მიაშურეს ქვევრებს, გაყიდეს. ჯანმრთელიანობა არის საზოგადოთ. აქა-იქ კი ყვავილი დადის, მაგრამ კარგ გუნძებაზე მყოფი.“

რუსო ქვეყნები

ოსმალეთი

ხშირი მოლაპარაკება აქვთ თურმე ერთმანეთში ხონთქარსა და ინგლისელებს ლეიარდს; ხშირი სხდომები და მოლაპარაკება აქვთ აგრეთვე ოსმალს მინისტრებს.

ძაცმა არ იცის ნამდვილად—თუ რა საგნების შესახებ არის სტამბოლში ასეთი გაცხარებული მოლაპარაკება; მაგრამ ზოგიერთი ვაჭრები დაბეჯითებით ამბობენ, რომ მორიგებაზედ არის სჯაო; ინგლისი მებრძოლთ მოსარჩევნელად შუამდგომლობას კისრულობსო, საფრანგეთი, გერმანია და იტალიაც დაეხმარებიან იმას ამ შემთხვევაშიო და სხვ. ამბობენ აგრეთვე, რომ ვითომც ხონთქარმა თავის მხრით დანდობილი კაცი გაგზავნა ატსტრიაში, რომ შეიტყოს მორიგების შესახებ ამ სახელმწიფოს ჰაზრო, იკისრებს ის რუსეთთან შუამავლობას, თუ არაო.

სხვა ბევრს რასმე ამბობენ და იწერებიან; მაგრამ ჭეშმარიტი მხოლოდ ეს არის, რომ ნამდვილს მორიგებაზე სჯამხოლოდ მაშინ ჩამოგარდება, თუ რუსებმა პლენო და შარსი აიღეს.

— ამერიკელი კორესპონდენტი გაზეთის „Le Temps“-ისა იწერება, რომ ამ რუს-ოსმალს გამოცხადებისათნავე, ოსმალეთმა 600,000 თოფი შეუკვეთა პიბოდი-მარტინის ქარხანას ნიუ-იორკში. ამ რიცხვიდან 1 ღვინობისთვემდინ სენებულმა ქარხანამ 355,000 თოფი დაამზადა და უკვე გამოგზავნა სტამბოლშიო, დანარჩენიც ამ ორი-სამი თვის განმავლობაში უნდა გამოგზავნონო.

— სტამბოლიდან ვაჭრებს „Годом“-ში იწერებიან, რომ სტამბოლის გარშემო, ზღვისა და ხმელეთის მხრით, ყველა სიმაგრეები გათავებულაო და ისეთ ნაირადაც არის ახლა ეს ოსმალეთის დედა-ქალაქი გამაგრებული, რომ მტერს იმის აღება ადვილად არ შეუძლიანო.

მაგრამ უბედურება ოსმალეთისა ეს არისო, რომ ამ სიმაგრეებზე იმას სულ ახლად გამოყვანილი ჯარი ჰყავს დაყენებული, რადგან ყველა ძველი, გამოცდილი, გაწრთენილი სალდათები ამ ქამად ბრძოლის ველზე არიან გაგზავნილიო.

ნარევი

მთს ბავარელებს სტატისტიკოსს გამოუანგარიშება—თუ რომელ ქვეყანაში რამდენი გიყია,

რამდენი ბრძა, რამდენი სულელი და რამდენი მუნჯი და ყრუ. ამ გამოანგარებებზე უბრალოდ, რომ ყველაზე უფრო მამდებულად ბრძები მსპანიში ყოფილა, ყველაზე უფრო მომეტებული სულელები და მუნჯი პრუსიაში (ნემეტების ქვეყანაში) და გიყები კი ყველაზე ბევრი ინგლისში ყოფილა.

* *

ქენევაში იყო ამას წინათ კონგრესი (კრება) ბევრი საპატიო პირებისა, რომელსაც იმაზე ჰქონდა მოლაპარაკება—თუ რა საშუალება უნდა იხმაროს სახელმწიფომ და საზოგადოებამ იმისთვის, რომ უნამუსო ქალები მოსპოს ანუ იმათი რიცხვი შეამციროს მაინცაო.

კონგრესს გადაუწყვეტია, რომ, რადგან უნამუსო ქალების გამრავლების მიზეზი სიღარიბე და უმცირება არისო, ამის გამო ამათ მოსასპობელად მხოლოდ ერთი საშუალება არისო, რომ სახელმწიფომ და ხალხმა ღარიბი ქალები თავის ხარჯით გაზარდონ, წერა-კითხვა და რამე ხელობა ასწავლონ, რომ შემდეგ, როცა გაიზრდებიან, იძულებული აღარ შეიქნენ ცუდ ცხოვრებას და ცუდ ხელობას მაჰკიდონ ხელი და თავის შრომით დაირჩინონ თავი.

* *

შირიმში შემდეგ წამალს ხმარობენ რუსები მუცელის მოსარჩენათ: აიღებენ გამხმარბრეწოლის ქერქს, დანაყვენ კარგაო მერე აიღებენ, ერთ კოვზს არაყში, ანუ მაგარ ღვინოში ჩაყრიან ცოტას და ისე დალევენ. ამბობენ, რომ ერთი კოვზი რომ მიიღოს მუცელით ავთამყოფმა ეს წამალი, მეტი არ უნდა, იმწამსვე მოჩხებაო.

ბასინჯეთ მუცელათი ავთამყოფებო, თუ არ მოგიხდებათ, წყენით ხომ მიინც არ გაწყენთ...

* *

რამდენიმე ყმაწვილი კაცი შეიყარნენ ამას წინათ პარიჟში, იყიდეს ბლომათ ღვინო და სასმელ-საჭმელი, დაიქირავეს ერთი ნავი, ჩასხდნენ ამ ნავში და გასწიეს ერთს მახლობელ სოფელში დროების გასატარებლად.

მივიდნენ თუ არა ამ სოფელში, გადმოხტნენ ნავიდან, მიბეს ის მაგრად წყლის ნაპირზე და თვითონ საქეიფოთ წავიდნენ.

სალამომდინ, როგორც რიგია ახლგაზნობისა იქეიფეს, რაც ღვინო ჰქონდათ, გამოცალეს და ბოლოს, კარგა რომ დაღამდა, შინ დაბრუნება გადაწყვიტეს. წამოვიდნენ წყლის ნაპირზე, ნახეს თავიანთი ნავი, ჩასხდნენ და რაც ძალა ჰქონდათ, ნიჩბებს მოუსკეს. უსვენს ერთი საათი, უსვენს მეორე, მესამე, მეოთხე,—პარიჟი არა სჩანს! უთუოთ გზა დაგვებნაო, გადაწყვიტეს, და ახლა გზის მაჩვენებელს დაუწყეს ჩხუბი, შეიქნა ერთი აყალმაყალი და ხმაურობა.

ამ ხმაურაზე სოფლელები მოვიდნენ და ნახეს, რომ ნაპირზედ მაგრად მობმულს ნავში, ჩამსდარან რამდენიმე ყმაწვილი კაცი და რაც ღონე აქვთ, უსმენ და უსმენ...

